განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ” ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში – “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართი ჭავჭავაძის ქ №4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: გ. ლომინეიშვილი

დ ა ს კ ვ ნ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე“ დაკავშირებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებული პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება. განკარგულების პროექტი ასევე შესაბამისობაშია 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობა განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

გეგმის პროექტში დეტალურად არის აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ერთგვაროვანი ჯგუფები, (საქონელი, მომსახურეობა, სამუშაო) შესყიდვის მეთოდები, ვადებისა და მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. გეგმის მიხედვით მუნიციპალიტეტის გამგეობა 2015 წელში განახორციელებს ადგილობრივი ბიუჯეტით **407 390** ლარის შესყიდვას და სახელმწიფო ბიუჯეტით **10 000** ლარის შესყიდვას .

აღნიშნულის გათვალისწინებით განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილებების შეტანის თაობაზე..

საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – გელა ლომინეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*